

“იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება ქუთაისში”

თებერვალი 2009. დაფინანსებულია ნიუპორტ-ქუთაისის ასოციაციის და სააგენტოების ასოციაციის მიერ

2008 წლის აგვისტოში, რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად, ქ. ქუთაისში 2500-ზე მეტი იძულებით გადაადგილებული ადამიანი ჩამოვიდა. საბოლოოდ, 116 ოჯახი რომელიც დარჩა ქუთაისში დაბინავებულ იქნა 3 კოლექტიურ ცენტრში. ომის პირველივე დღეებში ნიუპორტ-ქუთაისის ასოციაციამ ერთ-ერთმა პირველმა გამოაგზავნა დაზარალებულთათვის ჰუმანიტარული დახმარება. მოგვიანებით, ნიუპორტის მერის ინიციატივით ლტოლვილთათვის შეგროვებულ იქნა თანხა, რომლითაც ლტოლვილთა საჭიროებებიდან გამომდინარე, 2009 წლის იანვარში 116 ოჯახისათვის შეძენილ იქნა ელექტრო გამათბობლები. აღნიშნულ აქციაში ფინანსური მონაწილეობა ასევე მიიღო ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციამ.